პრესრელიზი

8 თებერვალს, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (მის.: მერაბ ალექსიძის ქუჩა, N1/3), გაიხსნება გამოფენა - „დავით აღმაშენებლის ეპოქის ხელნაწერი მემკვიდრეობა“.

გამოფენის ფარგლებში, საზოგადოებას შესაძლებლობა ექნება, იხილოს უნიკალური ხელნაწერები: გელათის ოქრომელნით მოხატული ოთხთავი, უშუალოდ დავითთან და მის მოღვაწეობასთან დაკავშირებული ხელნაწერები - „გალობანი სინანულისანი“, „რუის-ურბნისის ძეგლიწერა“. ექსპონატებს შორის უმნიშნელოვანესია „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერები: „მარიამისეული“ ხელნაწერი, და „ქართლის ცხოვრების“ ანა დედოფლისეული ხელნაწერი.

ღონისძიების ფარგლებში, ასევე, დაგეგმილია ფოტოგამოფენა, სალექციო შეხვედრები და სხვადასხვა საგანამანათლებლო აქტივობები როგორც დაწყებითი, ასევე საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი არის ქართული ხელნაწერების უდიდესი საცავი მსოფლიოში, სადაც მრავალი ისტორიული პირის საბუთი თუ ხელნაწერი ინახება. სწორად 8 თებერვალს, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, დავით აღმაშენებლის ხსენების დღისა და მისი გამეფებიდან 930 წლის აღსანიშნავად გამართულ გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება დავითის ეპოქის ორიგინალი და უნიკალური ხელნაწერები.

გამოფენა 15 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება.

#

საკონტაქტო ინფორმაცია

მარიამ ჯაბიძე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Tel: 577 977 199

მარია წერეთელი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Tel: 598 84 84 88

E-mail: pr@manuscript.ac.ge

Web: www.manuscript.ge

საგანმანათლებლო აქტივობები:

„გააფერადე მეომრები“ - აქტივობა განკუთვნილია სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის და გულისხმობს შემდეგს: დავითის ხელნაწერების დათვალიერების შემდეგ ბავშვებს საშუალება ექნებათ მოისმონონ ისტორია დიდგორის ბრძოლის გამარჯვებისა, ხოლო შემდეგ გააფერდონ ბრძოლის სცენა ამოღებული ხელნაწერი „დავითნიდან“ - ცხენები, მუზარადი, ჯაჭვის პერანგი, ბრძოლის ამსახველი სცენა, ასეთი საშუალებით მოსწავლეებს საშუალება ექნებათ წარმოიდგინონ დიდგორის ბრძოლის მეომრები.

„დავით აღმაშენებლის მემატიანე“ - აქტივობა განკუთვნილია სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის. აქტივობა გულისხმობს შემდეგს: მოსწავლეებს საშუალება ექნებათ ჯგუფებში იმუშაონ „ქართლის ცხოვრების“ ორი ხელნაწერის ფოტო ასლზე, მარიამისეულ და ანასეულ ნუსხებზე. ორივე ხელნაწერი შეიცავს დავით აღმაშენებლის შესახებ ცნობებს. მოსწავლეები, ცოტა ხნით მოირგებენ მკვლევრის როლს და შეეცდებიან დაადგინონ რა შინაარსობრივი მსგავსება და განსხვავებაა ამ ორ ტექსტს შორის. მუშაობის შედეგს ჯგუფი წარადგენს საექსკურსიო ვიზიტის დასასრულს. მსგავსი ინტერაქტივის განვრცობა პედაგოგს შეუძლია უკვე საკლასო მუშაობის ფარგლებში.

სალექციო შეხვედრები:

- **12 თებერვალი, 16:00 საათი. ლექციას თემაზე „დავით აღმაშენებლის ანდერძი“ წაიკითხავს მზია სურგულაძე** (ისტორიი დოქტორი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერი თანამშრომელი);
- **15 თებერვალი, 15:00 საათი. ლექციას დავით აღმაშენებლის ეპოქის შესახებ წაიკითხავს მიხეილ ბახტაძე** (ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი).